

აღმავალი ბორჯომიდან



„ბორჯომი“ ფოტოგრაფ ნათელა გრიგალაშვილთან ერთად, ამჯერად, ბორჯომის შემოგარენში, ულამაზეს სოფლებში გამოგზავნა, გაგაცნობთ იქ მცხოვრებ საინტერესო ადამიანებს და გაგიზიარებთ ულამაზეს კადრებს.

სოფელი ტბა.
რინული ლარსმანაშვილი, ყოფილი მასწავლებელი და სკოლის დირექტორი. ქალი, რომელმაც საკუთარი სოფლის ისტორია ჯერ თავად შეისწავლა და შემდეგ ახალ თაობებს გაუზიარა. 77 წლის არის და დღემდე სოფელი ტბის გარშემო სიახლეებს ეძებს. მოყვარული არქეოლოგია, პოულობს ძველ ნივთებს და შემდეგ ამ ექსპონატების ისტორიას სწავლობს. მამავალი თაობის დიდი გულშემატკივარია და დღესაც დიდი სიყვარულით აგრძელებს სოფელზე ზრუნვას და ამ ადგილის სილამაზეს ყველა სტუმარს აცნობს.

ბორჯომის გულშემატკივარი
ნათელა გრიგალაშვილი

სამოკრიბო

გაიგარტაბა ფრანგურთში ბურჯინი



ბორჯომის მუნიციპალიტეტის ინიციატივით, წარმოება-დანესებულებებს შორის, ფრანგურთში ტურნირი გაიმართება.

I ადგილზე გასულ გუნდს 1500 ლარი, II ადგილზე გასულ გუნდს 1000 ლარი, ხოლო III ადგილზე გასულ გუნდს 500 ლარი გადაეცემა.

განცხადებების მიღება დაწყებულია. განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 15 ნოემბერი, 18:00 საათი.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, დარეკოთ ნომერზე: 591 95 95 41 ან მოზრძანდეთ მისამართზე: ბორჯომის მუნიციპალიტეტი, მესხეთის ქ. №5.

ბოლო წლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი და პრიორიტეტი, ახალგაზრდა თაობის განათლების ხელშეწყობაა. სასკოლო პროგრამის გარდა სხვა საჭირო მიმართულებების შესწავლა ხომ ძალზედ მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომაც, არა მარტო ქალაქ ბორჯომში, არამედ მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაბა-სოფლებში, მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის განკუთვნილ სივრცეებში, სხვადასხვა სახის სრულიად უფასოა.

ნაღვერის საქალაქო კულტურის სახლიც ერთ-ერთი მათგანია, სადაც სხვადასხვა სახის წრეები უფასოდ ფუნქციონირებს. სულ რამდენიმე წელია, რაც აღნიშნულ დანერგულ წრეებში ქართული ხალხური სიმღერების შემსწავლელი წრე გაიხსნა, რომლის ხელმძღვანელიც უნიჭიერესი ახალგაზრდა ქალბატონი, **თინათინ მუხურაძეა**. ქალბატონი თინათინი ნაღვერის საქალაქო კულტურის სახლის კოლექტივს ორი წლის წინ შეუერთდა. თავდაპირველად ქართული ხალხური სიმღერების შემსწავლელი წრის ხელმძღვანელი გახლდათ, ხოლო ამჟამად, სამხატვრო ხელმძღვანელია. მნიშვნელოვანია, რომ ქალბატონი თინათინი, ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „მზემინასა“ და „თილისმას“ წევრიცაა და ასევე ნაღვერის საქალაქო კულტურის სახლში ხელმძღვანელობს ბავშვთა ანსამბლ „ნერგები“. აღსანიშნავია, რომ ანსამბლი წარმატებით მონაწილეობს სხვადასხვა კონკურს-ფესტივალებში. სულ ბოლო გამარჯვება საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მერვე ეროვნულ კონკურსში მოიპოვეს, სადაც ვერცხლის მედლის მფლობელები გახდნენ. თინათინ მუხურაძეს საკუთარი საქმიანობისა და ანსამბლის სამომავლო გეგმებზე ვთხოვეთ ესაუბროს:

● როდის ჩამოყალიბდა ნაღვერის საქალაქო კულტურის სახლში ხალხური სიმღერის შემსწავლელი წრე და ვისი უშუალო ინიციატივით მოხდა ეს ყოველივე?

- 2022 წლიდან ნაღვერის საქალაქო კულტურის სახლში გაიხსნა ქართული ხალხური სიმღერისა და ტრადიციული საეკლესიო გალობის უფასო შემსწავლელი წრე, რომლის ინიციატორიც გახლავთ ნაღვერის საქალაქო კულტურის სახლის ხელმძღვანელი, ქალბატონი დალი ქესაშვილი, ხოლო მის განხორციელებაში დიდი როლი ითამაშა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა ოთარ არბოლოვიძემ, მისმა მრჩეველმა კულტურის დარგში, ბატონმა გიორგი ბუგინიშვილმა და ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ხელმძღვანელმა, ბატონმა გაიონ დვალისვილმა.

● რამდენად მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველა დაბასა თუ სოფელში არსებობდეს აღნიშნული წრეები?



შეხიზნეთ, გავასწოროთ!

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში სათაურით „დამსახურებული აღიარება“ დაიბეჭდა საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის შალვა გოგოლაძის დროიე: ბატონ შალვას 2019 წელს მიენიჭა ბორჯომის საპატიო მოქალაქის წოდება. რედაქციის ტექნიკური მუშაკის დაუდევრობის გამო ბატონ შალვას სახელი შეცდომითაა მოხსენიებული, რისთვისაც ბატონ შალვას და გაზეთის მკითხველს ბოდიშს ვუხდით.

გაზეთი „ბორჯომის“ რედაქცია

„ღმერთის სოლის“ სიკეთა...

სიცივისაგან გათოშილი ათიოდე წლის ბიჭი ფეხშიშველი იდგა ფეხსაცმლის მალაზიის ვიტრინის წინ და თვალს ვერ აპორებდა თბილ ბათინკებს.

მისთან მივიდა ერთი კარგად ჩაცმული ქალბატონი და ჰკითხა: - „ასეთი ინტერესით რას ათვალისწინებ, ჩემო პატარა მეგობარო? რაზე ფიქრობ?“


- „ღმერთს ვევედრები, რომ ერთი წყვილი ბათინკი მომცეს საჩუქრად,“ - უპასუხა ბიჭმა.

ქალმა ბავშვს ხელი მოჰკიდა და მალაზიაში შეიყვანა. მან გამყიდველს თხოვა, მოეტანა ნივთი საბავშვო წინდა და ჰკითხა, თუ შეძლებდა „ტაშტის“, თბილი ნყლისა და პირსახოცის შოვნას? გამყიდველმა ყველაფერი მოიტანა. ქალმა ბავშვი გაიყვანა მალაზიის უკანა ნიწლიში, დაბანა ბიჭს ფეხები და გაუმშრალა. შემდეგ ჩააცვა ერთი წინდა იმ ექვსიდან, მოაზომა და უყიდა თბილი ბათინკები. დახარჩენი 5 წყვილი წინდა ქალაქში გაახვედრინა და ბავშვს მისცა.

ყველაფერი ამის შემდეგ, ქალბატონი შეტრიალდა და წასვლა დააპირა. ამ მომენტში ბიჭი მოკრძალებით შეერო მის ხელს, ცრემლიანი თვალებით შეხედა და ჰკითხა: - „თქვენ ღმერთის ცოლი ხართ?“

წყარო უცნობია

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59 რედაქციამ შეიქმნა ბაქრაძევილის იხათი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდნენ. მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20. WWW.colargroup.ge borjomipress9@gmail.com რედაქტორი: ვალერიან ლომიკა კორექტორი: ნანა კვიციანი



ვლადიმერ (ვოვა) ქუპარიტაშვილის განხილვა

ორმოცი დღე გავიდა ვოვა, რაც ამქვეყნიდან წახვედა. ვერ ვეგუბი იმ აზრს, რომ ალარ ხარ. ასე ძალიან არასდროს არაფერი მტკენია, როგორც შენი გარდაცვალება განვიცადე.

დედაშენი განადგურებულია, ვერ ვუყურებ, სანუ გეშოს ვერაფერს ვეუბნები, ერთადერთი შვილის დამკარგავს, რა ვუთხრა. შენი ლამაზი ცოლ-შვილი გაოგნებულია, ფრთა მოტყეხილი ჩიტებისაა არიან, უჭირთ უშენობა, ბევრი იბრძოლებს შენი ბიძაშვილების, მეგობრების და კეთილი ადამიანების უდიდესი და უანგარო დახმარებით, მაგრამ ვერ დაამარცხეს შენი შიში სნეულება. 91 წლის ბაბო რა დღეშია, ვერც მას ვამშვიდებ, მხოლოდ ვეუბნები, რომ ჩვენი ამდენი ტირილით სულს გიმძიმებთ.

მამაშენის გარდაცვალების შემდეგ სათავები ჩაუდექი საციგაო სპორტს და შედეგებიც გვეკონდა. აგისრულდა დიდი ხნის ოცნება, რომ ერთ ქუპარიტაშვილს მაინც მიეღო მონაწილეობა ყველაზე პრესტიჟულ მეჯინოში და სწორედ შენმა შვილმა, საბამ შეასრულა ეს მისია პეკინის ზამთრის ოლიმპიადებზე 2022 წელს. კარგი ღონისძიება ჩატარებ შენს ზაფხულში. პირველი მოციგავეებიდან ახალ თაობამდე შენ ეზოში მოუყარე თავი. ყველას უხაროდა, კმაყოფილი იყო იმ „შეჯიბრი-სანახაობით“.

ძნელია უშენობა. ნათქვამია: დრო ყველაფრის მკურნალია, მაგრამ დრო ვერასდროს განკურნავს იმ ტკივილს, რაც შენი გარდაცვალებით განვიცადეთ.

ღმერთსაც კარგი უნდაო და ალბათ, იმიტომაც გიხმოთ თავისთან ასე ნაადრევად. ნათელში იყოს შენი კეთილი და ლამაზი სული. ღმერთს ებარებოდე ჩემო ერთადერთო ძმისშვილი. **შენი თაქილა.**

ბაკურიანის საბავშვო ბაღის თანამშრომლები უსამძიმრებენ გიორგი და თამაზ დავიდოვების ოჯახებს მამის გარდაცვალების გამო

